

გაცვლითი პროგრამის მონაწილის ხელშეკრულება

№ _____

ერთი მხრივ _____ (პირადი № _____
პირადობის № _____) შემდგომ გაცვლითი პროგრამის მონაწილე და მეორე მხრივ
ასოციაცია აისეკ საქართველო (საიდენტიფიკაციო კოდი: 200215338) შემდგომ აისეკი ვთანხმდებით
შემდეგზე:

1. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმი გაცვლითი პროგრამის მონაწილისთვის

მე, გაცვლითი პროგრამის მონაწილე ვადასტურებ, რომ ვაკმაყოფილებ აუცილებელი
კრიტერიუმების მინიმალურ მოთხოვნას:

- ვარ 18-30 წლამდე ახალგაზრდა და პროექტის დასრულებამდე არ ვიქნები 30 წლის
- მე მაქვს საკმარისი ცოდნა აისეკის, როგორც ორგანიზაციის, მისი მიზნებისა და აქტივობების შესახებ
- მე მაქვს საკმარისი ადაპტაციის უნარი უცხო კულტურებთან, შემიძლია გავუმკლავდე კულტურულ შოკს
- მე მაქვს ოფიციალური დამადასტურებელი საბუთები ქვემოთ მოცემული აკადემიური მიღწევების შესახებ
- მე მაქვს დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ გავიარე გაცვლითი პროგრამების ყველა შესარჩევი ეტაპი
- მე მაქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება შესაბამისად ჩემი გეოგრაფიული/პროექტის ტიპის არჩევანისა, რომ წარმატებით გავიარო პროექტის მორგების ეტაპი
- მე მაქვს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა, რომ დავფარო ქვეყნიდან-ქვეყანაში მგზავრობის ხარჯები
- მე მაქვს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა, რომ დავფარო პროგრამაში მონაწილეობის გადასახადი 560 ლარი აისეკის მიერ გაცემული ინვოისის საფუძველზე

2. აკადემიური მიღწევების სერტიფიკაცია (არსებობის შემთხვევაში)

გთხოვთ მიუთითოთ ის საგანმანათლებლო დაწესებულება სადაც იღებთ განათლებას (ან მიიღეთ)
არსებობის შემთხვევაში

- 1.
- 2.
- 3.

3. აისეკის მემორანდუმი

აისეკი ქმნის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს, რომლებიც გაცვლითი პროგრამის მონაწილეს ეხმარება ზოგადი ცოდნისა და პროფესიული უნარჩვევების ჩამოყალიბებაში. გაცვლითი პროგრამები იქმნება აისეკის წევრების მონაწილეობით და პარტნიორი ორგანიზაციებისა და კომპანიების ჩართულობით. გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტაჟიორის როლში ორგანიზაციასთან ან/და კომპანიასთან, პროგრამის მონაწილის როლში აისეკთან, ღებულობს უნიკალურ გამოცდილებას, რაც მას შემდგომში უადვილებს სასურველი შედეგების მიღწევას.

3.1. აისეკის გაცვლითი პროგრამა გულისხმობს:

- გლობალურ სასწავლო გარემოს შექმნას სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლობით დაკომპლექტებულ გუნდთან;
- უცხო გარემოში პრაქტიკული უნარჩვევების დახვეწასა და სხვადასხვა მეთოდებით დინამიურ პერსონალურ განვითარებას;
- ინტერაქციას მასპინძელი ქვეყნის სოციალური განვითარების საკითხებში და სპეციფიურ ლოკალურ პროექტებში ჩართვას;
- პირადი და კარიერული განვითარების გეგმის შემუშავებას და შემდეგი განვითარების შესაძლებლობის შეთავაზებას.

3.2. აისეკის გაცვლითი პროგრამა არ გულისხმობს შემდეგს:

- არდადეგებს და დასვენების შესაძლებლობას;
- საზღვარგარეთ დასაქმების საშუალებას ან მუდმივი საცხოვრებლის პოვნის შესაძლებლობას;
- იმ შემთხვევაში, თუ აისეკის პარტნიორი ორგანიზაცია/კომპანიის მიერ იქნება ამ ტიპის შეთავაზება გაცვლითი პროგრამის მონაწილისადმი, აისეკი არ იღებს ფასილიტაციის პასუხისმგებლობას და გაცვლითი პროგრამის მონაწილე დამოუკიდებელია გადაწყვეტილების მიღებაში.

4. აისეკის როლი და პასუხისმგებლობები

4.1 გამგზავნი ლოკალური კომიტეტის პასუხისმგებლობები

- შესარჩევი ტურის ჩატარება და გაცვლითი პროგრამის მონაწილის ზემოთ მოცემული ინფორმაციის მართებულობის უზრუნველყოფა;
- დაეხმაროს გაცვლითი პროგრამის მონაწილეს პროექტების საძიებო სისტემის (aiesec.org) გამოყენებაში;
- იქონიოს ინტენსიური კომუნიკაცია სტუდენტთან პროექტის მორგების პერიოდში;
- პროექტის მოცემულ ვადაში ვერ მოძებნის შემთხვევაში შესთავაზოს ალტერნატიული შესაძლებლობები;
- პროექტის პოვნის შემთხვევაში ამცნოს გაცვლითი პროგრამის მონაწილეს დეტალური ინფორმაცია პროექტზე, აისეკის მიმღებ ლოკალურ კომიტეტზე და შესაძლო მონაწილე პარტნიორ ორგანიზაციაზე/კომპანიაზე;
- გაცვლითი პროგრამის მონაწილეს პროგრამის შერჩევის განმავლობაში დაუნიშნოს ინდივიდუალურად პასუხისმგებელი პირი, რომელიც იქონიებს უწყვეტ კავშირს გაცვლითი პროგრამის დასრულებამდე;
- პროექტიდან დაბრუნების შემდეგ მისცეს გაცვლითი პროგრამის მონაწილეს რეინტეგრაციის საშუალება, რაც დაეხმარება მას საკუთარ გარემოში უკეთ გამოიყენოს გაცვლითი პროგრამით მიღებული გამოცდილება;
- უზრუნველყოს აისეკის პროექტების მონაცემთა ბაზასთან წვდომის შესაძლებლობით.

4.2 მიმღები ლოკალური კომიტეტის პასუხისმგებლობები

- პროექტის მიღების შემთხვევაში დროულად შეკრიბოს გაცვლითი პროგრამის მონაწილის ყველა საჭირო დოკუმენტაცია (მოწვევა ვიზის მისაღებად) ;
- მიაწოდოს გაცვლითი პროგრამის მონაწილეს პროექტის მორგების შედეგად შერჩეული პროექტის სამუშაოს აღწერილობა (სამუშაო საათები, სამუშაო გარემო, მოსამზადებელი სემინარები და სხვა);
- დახვდეს გაცვლითი პროგრამის მონაწილეს ჩასვლის წერტილში (აეროპორტი, ავტოსადგური და სხვა);
- ვადლებულია მაქსიმალურად შეეცადოს ააცილოს გაცვლითი პროგრამის მონაწილეს კულტურული შოკი და გააცნოს ლოკალური კულტურა და საზოგადოება არაუგვიანეს გაცვლითი პროგრამის პირველ კვირას.

5. გაცვლითი პროგრამის მონაწილის როლი და პასუხისმგებლობები

- გადაიხადოს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის ერთჯერადი გადასახადი 560 ლარი
- სრულიად უზრუნველყოს ქვეყნიდან ქვეყანაში მგზავრობის ხარჯები;
- იქონიოს მინიმალური ფინანსური რესურსები მოულოდნელი პრობლემების შემთხვევაში;
- გამგზავნი ლოკალური კომიტეტის მხარდაჭერით შეავსოს AN ფორმა (Acceptance Note-დასტური კონკრეტულ პროექტში მონაწილეობის შესახებ); AN ფორმა ივსება ელექტრონულად, aiesec.org-ზე მონაწილის მიერ;
- იყოს მოქნილი გეოგრაფული და პროექტის შინაარსის არჩევანის გაკეთებაში;
- გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის ნებისმიერ ეტაპზე უარის თქმის შესახებ წერილობით შეატყობინოს გამგზავნი ლოკალურ კომიტეტს არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა;
- დაესწროს გამგზავნი ლოკალური კომიტეტის მოსამზადებელ სემინარებს და აქტიურად ითანამშრომლოს აისეკთან პროგრამის მორგების განმავლობაში;
- დროულად მიაწოდოს ყველა საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია მიმღებ ლოკალურ კომიტეტს (ვიზა, დაზღვევა და სხვა);
- გაცვლითი პროგრამის განმავლობაში იქონიოს ინტენსიური კავშირი გამგზავნი ლოკალური კომიტეტის მიერ დანიშნულ პასუხისმგებელ პირთან;
- მოახდინოს ინტეგრაცია მიმღებ ლოკალური კომიტეტის აქტივობებსა და ზოგად საქმიანობაში;
- შეასრულოს პროექტის მიერ დაწესებული ყველა ვალდებულება;
- მიიღოს დამოუკიდებელი და პროაქტიული მონაწილეობა გაცვლითი პროგრამის გარე აქტივობებში;
- მიმღებ ლოკალურ და მთავარ კომიტეტებს მისცეს ობიექტური მოსაზრებები გაცვლითი პროგრამის შესახებ.

6. გადახდის პირობები

- გაცვლითი პროგრამის მონაწილე ერთიანად ფარავს პროგრამაში მონაწილეობის გადასახადს, 560 ლარს, პროექტზე ოფიციალურად მორგების შემდგომ აისეკის მიერ გაცემული ინვოისის საფუძველზე;
- აისეკის გაცვლითი პროგრამის ღირებულება 560 (ხუთას სამოცი) ლარი არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას. გაცვლითი პროგრამის ღირებულება მოიცავს შემდეგი მომსახურებების გაწევას: კონტრაქტის მომზადება, გაცვლითი პროგრამისთვის მოსამზადებელი სესიების ჩატარება, სისტემაში პროექტებზე განაცხადის გაგზავნის შესაძლებლობის მოპოვება, რეზიუმეს

მომზადებისას კონსულტაცია, პირადი მენეჯერის დანიშვნა და პროექტების შერჩევისას კონსულტაცია, პროექტის მონახვის შემდეგ ისეთი საბუთების მომზადებას, როგორცაა უნივერსიტეტში ან საელჩოში წარსადგენი ცნობა, კულტურული შოკისთვის მომზადება;

- ამ კონტრაქტზე ხელის მოწერით პროექტის მონაწილე ადასტურებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურება და პასუხისმგებლობები აისეკის მიერ შესრულდა და მონაწილე მზად არის მიიღოს მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში.

- ინვოისი გაიცემა აისეკ საქართველოს საბანკო რეკვიზიტებით:

საბანკო კოდი : 204854595

ანგარიშის ნომერი : GE06TB7173636020100007

თიბისი ბანკი, სს

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია მხარეთა მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობების ამოწურვამდე.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა და დავების გადაწყვეტის წესი

- ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია თუ რომელიმე მხარე არსებითად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
- ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე უფლება-მოვალეობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9. ფორს-მაჟორი

- მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისას თუ ეს გამოწვეულია გადაულახავი ძალის შედეგად, კერძოდ, წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებითა და ქმედებებით, სასამართლო გადაწყვეტილებებით და სხვა ფორს-მაჟორული გარემოებებით;
- ფორს-მაჟორული გარემოებების შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან მიმართონ ყველა შესაძლო ზომას, ასეთ გარემოებათა შედეგების აღმოსაფხვრელად და დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინონ მეორე მხარეს ამის შესახებ.

10. ოფიციალური ბეჭედი და ხელმოწერა

აისეკ საქართველოს პრეზიდენტი -

ნინო გოგონია

ხელმოწერა:

გაცვლითი პროგრამის მონაწილის თანხმობის დამოწმება

მე, გაცვლითი პროგრამის მონაწილე, ვიზიარებ და ვეთანხმები აისეკის მემორანდუმს, აისეკის როლს და პასუხისმგებლობებს, გაცვლითი პროგრამის მონაწილის როლს და პასუხისმგებლობებს და ვადასტურებ ამ ხელშეკრულებაში მოცემული ინფორმაციის მართებულობასა და სისწორეს.

გაცვლითი პროგრამის მონაწილის სახელი, გვარი

ხელმოწერა:

თარიღი: